„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გვეტაძე
“13“ 12 2024 წ.

ფიდეს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი
ღია ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში
17 - 18 დეკემბერი 2024 წ.
ქ. თბილისი, სასტუმრო ბილთმორი, რუსთაველის გამზირი 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. სათამაშო წესები:

3.1. დროის კონტროლი: 5 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

3.2. ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.

3.3. არ დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

4. ტურნირში მონაწილეობა და რეგისტრაცია:

4.1. ტურნირში დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები;

4.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, WGM, IM, WIM) მქონე მოჭადრაკეებს;
- 2024 წლის 14 - 20 წლამდე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორებს;
- 2024 წლის 14 - 20 წლამდე საქართველოს ჩემპიონებს სტანდარტულ ჭადრაკში.

4.3. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

4.4. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/Xye18uAe8ubEBLeD9
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 16 დეკემბერი 18:00 საათი.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

4.5. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

5. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	17 დეკემბერი	
გახსნა / მისალმება	18 დეკემბერი	12:45
I ტური	18 დეკემბერი	13:00
II ტური	18 დეკემბერი	13:20
III ტური	18 დეკემბერი	13:40
IV ტური	18 დეკემბერი	14:00
V ტური	18 დეკემბერი	14:20
VI ტური	18 დეკემბერი	15:10
VII ტური	18 დეკემბერი	15:30
VIII ტური	18 დეკემბერი	15:50
IX ტური	18 დეკემბერი	16:10
დახურვა	18 დეკემბერი	16:30

6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

6.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ურთიერთშორის შეხვედრა;

ბ) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

გ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

6.2. I - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან დიპლომითა და ფულადი პრიზით;

7. საპრიზო ფონდი - 17000 ლარი:

კატეგორია	I	II	III	IV	V
ვაჟთა	3000	2000	1000	600	400
ქალთა	3000	2000	1000	600	400
18 წლამდე ჭაბუკები	500				
18 წლამდე გოგონები	500				
სენიორი კაცები (50 +)	500				
სენიორი ქალები (50 +)	500				
სენიორი კაცები (65 +)	500				
სენიორი ქალები (65 +)	500				

7.1. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა;

7.3. ერთი მონაწილის მიერ ორი ან მეტი პრიზის მოპოვების შემთხვევაში პრიზიორს გადაეცემა მხოლოდ ერთი უდიდესი პრიზი;

7.4. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

8. საერთო წესები:

8.1. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

9. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი